ოთხშაბათი, 10 მარტი 1910 წ. № 29

ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ნაწილობრივ? წლიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. ბოლო გვერდზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეკელიძესთან, ჩოხატაურში ა. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. ჩალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღიაა ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

დამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

ზედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურკო გ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—1 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოკოლევსკი ვ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—92)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—92)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

ძმ. პასხალიდების

აბრეშუმის თესლი

წელს აქვთ მინდობილი გასასყიდათ შემდეგ ფირმებს:

ბათუმში: მ. ს. მანუილიდს ზღვისპირის ქუჩზე., ამხანაგობა „იმედს“ მიხაილოვის ქუჩაზე, და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში:** პორფილე ჭეიშვილს. **ხონში:** ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას (სოფელ კუხში) **ქუთაისში:** კონსტ. ოქ-ძე მელიშვილს. **ახალსენაკში:** ა. ბ. ჩაჩიბაიას.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძ. პასხალიდების“ მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით

კავკასიისათვის ერთათ-ერთი წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების“ ფირმისა

ძ. ს. მანუილიდი. (12—3)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის“ გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія.

0—4

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის აღმართი სახ. 15.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—14)

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას ქ. ბათუმში,** მარიინსკის პროსპ. სახ. **№ 10** (15—10)

სამღვთო სჯულის

სახელმძღვანელო

შედგენილი დეკ. ნ. უუბანეიშვილისა მრავალი სურათებით და ყდით იყიდება 24 კ. კ. თავართქილაძესთან.

პრესა

ამ ერთი კვირის წინათ მეორშაბათე გაზეთ „ხალხი“-ს მეცხრე ნომერმა ამბავი მოიტანა, რომ რევოლიუციის შემდეგ ჩასახული **მეოთხე დასი**, რომელმაც თურმე «ნამდვილი უტყუარობით ალღო აართო ჩვენს ეროვნულ სულის სწრაფვას», მოდის და გზა მიეცითო. მოდის იმისთვის, რომ „ახლო მომავალში მთელი ქართველების მაჯის ცემის დედაბურჯათ გახდესო“ და გახდება კიდეცო—გვარწმუნებდა ბ. მენავე.

ჩვენ იმდენათ გულუბრყვილო ვიყავით, რომ დავუჯერეთ ბ. მენავეს: ეს მეოთხე დასი, ვილაც უცნობი სტუმარი გვეგონა. თურმე ნუ იტყვით, ეს ჩვენი დიდი ხნის ნაცნობი თვალთმაქცი ბებრუხანა ყოფილა, რომელიც მიუხედავათ თავის სიბერისა, მუდამ ასე ახალგაზდათ და მიმზიდველათ ეჩვენება და თავის მზაკვრულ ქსელში აბამს ზოგიერთებს. მას ჩვენი მკითხველი კარგათ იცნობს. ის დარწმუნებულა, რომ წინა გასტროლებზე მას ნილაბი ჩამოხადეს, მისი ნამდვილი სახე დაინახეს და ახლა სხვა სამოსელში გახვეულა, ფერ-უმარილით შეთხუპნულ-შეკაზმულა, „ხალხის“ რედაქციაში ნათელ-ღებულა, დაურქმევია მეოთხე დასი და ბ. მენავის ლოცვა-კურთხევით თავის საქმეს შესდგომია. და აი, როცა ჩვენ შევეკითხეთ შიკრიკს—ვინ არის ეს თქვენი მეოთხე დასი, საიდან მოდის და სად მიდის თქვა, ბ. მენავემ გვიპასუხა:

> **„მეოთხე დასი მიდის იმავ აღთქმის ქვეყნისაკენ, საითაც მიისწრაფოდა მესამე დასი,** (ხაზი ავტორისაა)**მაგრამ—ლედე-ლუდეებში (?) დაბნეულმა,—მთლიანი ლელოს გატანა ვერ შესძლო.** (ეს ხაზი ჩვენია).

მაშ ასე. მესამე დასს „მთლიანი ლელო“ ვერ გაუტანია იმიტომ, რომ ის „ლედე-ლუდეებში დაბნეულა“, ეს შეუგნია მეოთხე დასს და მოდის, რომ გზა დაბნეულები გადააყენოს და „მთელი ქართველურის მაჯის ცემის დედა ბურჯათ გახდეს“. ასე წინასწარმეტყველობს ბ. მენავე. მარა არა შეწყნარებულ არს წინასწარმეტყველი თავის ქვეყანაშიო—ამბობენ და ამიტომ ნუ დაგვემდურება ბ. მენავე, თუ არც ჩვენ ვიწამოთ ეს მისი წინასწარმეტყველობა და არც მისი მეოთხე დასი. მართლაც და, როგორ გინდათ იწამოთ. დღეს გამოვა **ოთხი** კაცი და იტყვის: გზა მომეცით—მეოთხე დასი მოდისო. ხვალ **ხუთი**—გზა მოცით—მეხუთე დასი მოდისო! რამდენი კაცია — იმდენი დასი. აირია მონასტერიო—რომ იტყვიან, ესაა.

საიდან მოდის ეს მეოთხე დასი?

> მეოთხე დასი გამოვიდა იმავე სათავიდან, საიდანაც წარმოიშვა მესამე დასი—იგი სცოცხლობს იმავე იდეალებით, რომლითაც თქვენ.

როგორც ვხედავთ, ბ. მენავე გვარწმუნებს, რომ ჩვენ ორივენი ერთი სათავიდან მოვდივართ და ერთი იდეალებით ვცხოვრობთ! მარა ჩვენ შორის ყოფილა განსხვავებაც. ამ განსხვავებას ბ. მენავე ასე გადმოგვცემს:

> განსხვავება **მხოლოდ იმაშია, რომ თქვენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ კლასზე ამყარებთ ყოველიფერს, მხოლოდ ერთ კლასში ხედავთ ეროვნებას, მხოლოდ ერთი კლასი მიგაჩნიათ სამშობლოთ.** (ხაზი ჩვენია).

სხვა რომ არა იყოს რა, ამ ამონაწერიდან ნათლათ სჩანს, რომ ჩვენ შორის განსხვავება ისე უმნიშვნელო კი არ ყოფილა, როგორც ბ. მენავეს ჰგონია, არამედ ძირითადი და ერთთავად დავის გადამწყვეტი. ბ. მენავე ტყუილათ ირწმუნება,—ვითომ ჩვენ და მეოთხე დასი ერთი „სათავიდან“ გამოვდივართ. ის „სათავე“, საიდანაც ჩვენ გამოვდივართ მართლაც რომ «მხოლოდ და მხოლოდ ერთ კლასზე ამყარებს ყოველისფერს», ის უარყოფს ყველა კლასების საერთო ნიადაგს და როცა ის ამაზე უარს იტყვის,—ყველა კლასებს ერთად მოუყრის თავს და მათზე დაამყარებს „ყოველიფერს“, მაშინ ის ჩვენი „სათავე“ კი არ იქნება არამედ ბ. მენავის და მისი თანამოაზრეების. და თუ ბ. მენავე ამის შემდეგ მაინც გაიძახის რომ „ჩვენ ერთი სათავიდან“ გამოვდივართო, ის, ალბათ, არ იცნობს იმ „სათავეს“, რომელზედაც ასე რიხით ლაპარაკობს.

საით მიდის მეოთხე დასი?

„მეოთხე დასი ესწრაფვის **მთელის ერის შეგნებულ გაერთიანებას,** (ხაზი ჩვენია) იგი ცდილობს, **რომ ყველა კლასსა თუ წოდებას, თავის კლასობრივ შეგნებასთან ერთად აუცილებლათ გაუღვიძოს მთელი ერის იდეია, შეათვისოს და განუცხოველოს ეროვნული თვით-შეგნება, გაათვალისწინებიოს მთელი ერის საერთო ინტერესები ჯერ მთელი, მერე ნაწილი.** (ხაზი ჩვენია).

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ მეოთხე დასი „ესწრაფვის მთელი ერის გაერთიანებას“. ეს გახლავთ ძველი სიმღერა, ახალ ჰანგზე. აკი ვთქვით, რომ ეს ჩვენი ახლო ნაცნობი თვალთმაქცი ბებრუცუნაა-თქო: აქ ბ. მენავე არ. ჯორჯაძეს იმეორებს.

როგორც ვიცით, ერი შესდგება სხვადასხვა კლასიდან, რომლების ინტერესები ერთი-მეორეს ძირიანათ ეწინაალმდეგებიან, და ერთი მეორესთან მორიგება შეუძლებელია. ასეთ მორიგებას, ასეთ გაერთიანებას სასტიკათ ებრძვის და უარს ყოფს ის „სათავე“, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ და როცა ბ. მენავე გვარწმუნებს ჩვენც ამ „სათავიდან“ გამოვდივართო, ცხადია, მან არ იცის რაზედ ლაპარაკობს, ბ. მენავე რომ მართლა იცნობდეს ამ „სათავეს“, მაშინ მას ეცოდინებოდა, რომ მეოთხე დასის მისწრაფება „შეათვისებიოს სხვა კლასს და წოდებას მთელი ერის საერთო ინტერესები“ არამც თუ უტოპიაა, ანბანური ჭეშმარიტების არ ცოდნაა და „ჰკუის ღიტინის“ ნიმუში, რომელსაც ის ჩვენ გვაწერს, თუ გნებავთ ეს არის.

მაშ ასე. მეოთხე დასი თავს მოუყრის ერთად თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, ბურჟუებს, მუშებს, გლეხებს, შეაგნებინებს „მთელი ერის საერთო ინტერესებს“, „გაუღვიძებს მთელი ერის იდეიას“, გაუძღვება წინ და როცა „თავის სვე-ბედის თვითონ გადაწყვეტის უფლების“ მოიგებს, მერე მიხედავს ნაწილს, და ამ ნაწილს იმ იდეალებისკენ წაიყვანს, საითკენაც ჩვენ მივდივართ.

აი ასეთ „ლედე-ლუდეებში“ მოხეტიალე ბ. მენავე გვარწმუნებს, რომ „მეოთხე დასმა უტყუარი გზა ნახაო“.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ჩვენ კი ისევ ჩვენ ძველ გზას და დროშას გავყვებით. იმ დროშას, რომელსაც ბ. მენავე „ცალმხრივს“ ეძახის, ისევ «იმ ერთ კლასზე დავემყარებით», რომელსაც თქვენ ბოლოს პირდებით „გაბედნიერებას“. ჩვენ ისევ ძველი „წყარო“ და მისი «სათავე» გვექნება, «ძველი გზა» გვირჩევნია, ვინემ თქვენი «ახალი გზა» და მასზე უკომპასოთ ხეტიალი...

Мы съ вами не попутчики!

სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

8 მარტი.

განაგრძობენ სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის.

პეტროვი 3 აცხადებს, რომ შრომის **ჯგუფი** პროტესტს აცხადებს შვარცის პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ დარწმუნებულია რა, რომ მიუხედავათ ამ პოლიტიკისა სასწავლებლები განათლების ერთი უმთავრესი იარაღთაგანი არიან, **ჯგუფი** ხმას აძლევს ხარჯთ-აღრიცხვის მუხლებრივ განხილვაზე გადასვლას.

დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვის პირველ ხუთ მუხლს.

მარკოვი 2 აღნიშნავს, რომ საჭიროა ქირურგიული გზით სასწავლებლების გაწმენდა. ორატორის აზრით უნივერსიტეტები ავტონომიამ დაღუპა. უნივერსიტეტებს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც სხვა საზოგადო ადგილებს, სადაც წესიერების დასაცველათ უნდა შეიყვანონ პოლიცია. საჭიროა აუდიტორიაში ბოქაული იჯდეს.

კენჭის ყრით დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვის იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია უმაღლეს სასწავლებლების შენახვაზე.

„უმაღლეს სახალხო სასწავლებლების შენახვის“ შესახებ მუხლის განხილვის დროს ლაპარაკობს კლოჩკოვი და კუბაკინი. ორატორები აღნიშნავენ, რომ საჭიროა რაც შეიძლება გავრცელდეს ხალხში სახელოსნო სასწავლებლები.

დუმა ღებულობს ამ მუხლს.

იხილავენ „სახალხო პირველ დაწყებითი სასწავლებლების შენახვის“ შესახებ მუხლს.

მუფტი-ზადე ამბობს, რომ მუსულმანთა შესახებ სახალხო განათლების სამინისტრო არა სამართლიან პოლიტიკას ეწევა. ის სურვილს აცხადებს, რომ პირველ სამ წელიწადს სამშობლო ენაზე ასწავლიდენ მუსულმანებს, შემდეგ სავალდებულო იყოს რუსული ენის სწავლება.

ჩხეიძე ფიქრობს, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ იმ მოსაზრებით არ გამოააშკარავა თავისი პოლიტიკა, რომ იმედი ქონდა სხვა ვინმე იკისრებდა ამას. ეს წინა კრებაზე იკისრა ბესარაბიის დეპუტატმა და დღეს მარკოვმა 2-ემ. შემდეგ ჩხეიძე აღნიშნავს, თუ რა ცუდ პირობებში სწარმოებს სწავლა-აღზრდის საქმე კავკასიაში. არა თუ ადგილობრივ მკვდრთ, არამედ—რუს გადმოსახლებულთაც არა აქვთ საკმაო რიცხვი სკოლებისა. თუმცა კავკასიის მცხოვრებთ სწყურიათ სწავლა-განათლება, მაგრამ რა უნდა ქნას, როცა შავრაზმული ერობაც კი არ აქვს. დუმის მიერ გადადებულ თანხიდან სამინისტრომ კავკასიის სამოსწავლო ოლქს მისცა მხოლოდ 500 მანეთი. კავკასიის სასწავლებლები პროვოკაციის და ნაციონალურ წასისიანების ბუდეთ გადააქციეს. განაპირა ქვეყნები არაფერს არ უნდა ელოდენ მთავრობისაგან. ორატორი მოუწოდებს საზოგადოებას განაგრძოს ბრძოლა სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ (მარცხნით ტაშის ცემა).

დუმა ღებულობს ამ მუხლს კომისიის გამოანგარიშებით. ღებულობენ ყველა ხარჯებს, რომლებიც სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებს შეეხებიან კომისიის რედაქციით.

ღებულობენ „შენობების შეკეთების და აგების“ შესახებ მუხლს.

შემდეგ დუმა უკამათოთ ღებულობს გზათა სამინისტროს კანცელიარიის ხარჯთ-აღრიცხვას.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი, მის გვერდით ზის შიდლოვსკი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ უნდა აირჩიონ თავმჯდომარე.

გეგეჭკორი ს.-დემოკრატების სახელით აცხადებს, რომ ფრაქციას სამხელ არ მიუღია წინადადება პრეზიდიუმის არჩევაში. ამან განამტკიცა ფრაქცია თავის პოზიციაზე. პრეზიდიუმი ხშირათ უარს ეუბნებოდა ს.-დემოკრატებს იმ დროს, როცა მემარჯვენეების ყველა სურვილებს ასრულებდა და ტრიბუნა პროვოკაციის საშუალებათ გადააქციეს. რადგან ახალ პრეზიდიუმიდან არაფერს არ ველით, კვლავ თავს ვიჭერთ ხმის მიცემაში.

მილიუკოვი აცხადებს, რომ კადეტები არა ერთხელ დარწმუნდენ, რომ პრეზიდიუმი მიუდგომლათ არ ექცევა ყველა ფრაქციებს. ამიტომ ფრაქცია ხელს არ უშლის ცენტრის მიერ წამოყენებულ კანდიდატის არჩევას და აკისრებს იმას

არჩევნის შედეგების პასუხისმგებლობას. თავს იჭერს კენჭის ყრაში.

ძიუბინსკი. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დღემდე ყველა თავმჯდომარეები არღვევდენ მემარცხენე უმცირესობათა უფლებას და რადგან მოსალოდნელი არაა, რომ ახალი თავმჯდომარე პირუთვნელათ შეასრულებს თავის საქმეს, —ჯგუფი მონაწილეობას არ ღებულობს კენჭის ყრაში.

თავმჯდომარე ნაკაზის 126 მუხლის ძალით სამივე ორატორს შენიშვნას აძლევს. ის წინადადებას იძლევა მისცენ ბარათები კანდიდატების სახელის აღნიშვნით. გუჩკოვმა მიიღო 224 ბარათი, როდზიანკომ—16, თავ. ვოლკონსკიმ—31, მარკოვ 2-მ, სტორჩაკმა, პურიშკევიჩმა, მილიუკოვმა და მღ. ვერაკსინმა—თითო.

მხოლოდ გუჩკოვმა განაცხადა თანხმობა კენჭის ყრაზე. მიიღო 221 თეთრი, 68 შავი. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 მარტს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მარტი.

სპარსეთი

თეირანი. მისია სავსებით დაკმაყოფილეს: მდინარე ჩუმუხსა ლიანოზოვებს გადასცეს. ამიდის-უბანის კაცები, რომლებმაც ენზელში საელჩოს აგენტი შეურაცხყვეს, დასაჯეს.

ოსმალეთი

სტამბოლი. დილით ადრე მოვიდა მეფე ფერდინანდი. მას დიდის ამბით შეხვდენ. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ მის მოსვლას.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. „ტაიმს“-ში დაბეჭდილია ფინლიანდიის იურიდიულ მდგომარეობის შესახებ წერილი. წერილი შეიმუშავეს კერძო თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ანშიუცმა ბერლინიდან, ბარმა გეტტინგენიდან, მიშონმა გრენობლიდან, ნიზმა ბრიუსელიდან, ფრანდერფლიუკმა ლონდონიდან, ინგლისის იურისტებმა პოლლოკმა და უესტლერმა. პროფესორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ფინლიანდია სარგებლობს ავტონომიით არა როგორც დროებითი უპირატესობით, როგორც დაპყრობილი პროვინციის საჩუქარი, არამედ—როგორც კანონიერ უფლებით. სეიმის შეცვლა ან მისი კომპეტენციის შემცირება უნდა მოხდეს თვით სეიმის თანხმობით.

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. დილის სხდომას ცოტა ხალხი დაესწრო. სჩანს, მოსწყინდათ პროცესსი. განაგრძობენ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას. კაპიტანი როსსი დაწვრილებით უამბობს კომაროვსკის და ტარნოვსკაიას ცხოვრების შესახებ ვენეციაში. კარგათ იხსენიებს კომაროვსკის, ხოლო ტარნოვსკაიაზე ამბობს, რომ ის ამაყათ ექცეოდა მოსამსახურეებს.

მარშალტოუნი. (შტატი აიკი) როკაილენდის რკინის გზაზე მატარებელი გადავარდა. მოკვდა თოთხმეტი კაცი, დაიჭრა 15.

ტოკიო. იოკაგამაში დაიწვა 500 სახლი. უსახლ-კაროთ დარჩა 3000 კაცი.

ათინა. 2000 კაცმა მიტინგი გამართა ეპირში ბერძენთა შევიწროების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. მიტინგმა შეიმუშავა ოსმალეთის და დიდ სახელმწიფოთა მიმართ ადრესი, აირჩიეს დელეგატები ადრესის გადასაცემათ.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. დარბაზი ხალხით სავსეა. პარლამენტის წინ ხალხი გაცხარებით კამათობს კოშუტოვცების გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადონ უკანონოთ პარლამენტის დათხოვნა და იუსტის წინადადება უარი სთქვან გადასახადზე და სალდათის მიცემაზე. თავმჯდომარე კითხულობს ხელმწიფის რესკრიპტს. გრაფი ბატიანი და კოშუტი სიტყვებს ამბობენ და მთავრობის მოქმედებას კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებათ სთვლიან. მინისტრ-პრეზიდენტი იწყებს სიტყვას. მას სურს გაამართლოს პარლამენტის დათხოვნა. ოპოზიცია ხმაურობს. თავმჯდომარე სხდომას სწყვეტს. მინისტრ-პრეზიდენტი სიტყვას განაგრძობს. დარბაზში საშინელი ხმაურობაა, მინისტრ-პრეზიდენტი მიდის სტენოგრაფთან და უკარნახებს თავის სიტყვებს. დეპუტატი ზახარიესი ხედერვარს ქაღალდებს ესვრის. ოპოზიციის დეპუტატები მინისტრის სავარძლებისკენ მირბიან, იღებენ კანონთა წიგნებს და სცემენ მინისტრებს, ესვრიან სამელნე ბოთლებს, რვეულებს, წიგნებს და სხვა წიგნებს. სედერვარი სახეში დაიჭრა, მიწათმოქმედების მინისტრი შუბლში. სხდომა შეწყდა.

ბუდაპეშტი. პალატის უმრავლესობამ მიიღო ბატტიანის რეზოლიუცია, რომლითაც პარლამენტის დათხოვნა და უკანონო მოქმედებაზე გადასვლა კონსტიტუციის საწინააღმდეგოთ სცნეს. დეპუტატი გედი ლაპარაკობს ტახტის მემკვიდრის დეპეშის შესახებ, რომლითაც ის მოუწოდებს ვენის მცხოვრებთ განაგრძონ ლიუგერის პოლიტიკა. გედი მოითხოვს მინისტრ-პრეზიდენტმა დაამშვიდოს მცხოვრებნი, რომ მემკვიდრე არ იცავს ამ ლიუგერის პოლიტიკას. რადგან მინისტრ-პრეზიდენტი სხდომას არ დაესწრო, ინტერპელიაცია უპასუხოთ დარჩა.

სხდომა დაიხურა. როგორც ხმები გავრცელდა, ზოგიერთმა დეპუტატებმა ერთმანეთი დუელში გაიწვიეს!

რუსეთი.

მინსკი. დავიდ-გოროდკაში ცეცხლმა გაანადგურა 46 სახლი. ზარალი 30,000 მანეთამდეა.

ნოვოჩერკასკი. სად. გარენსკაიის ახლო დაიწვა რკინის გზის ელევატორი. დაიღუპა 75,000 ფუთი პური. ზარალი 120,000 მანათია.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რეშტი. (სპარსეთი) მთელი რიგი მიტინგების შემდეგ, შაბათს, ხალხი შეიკრიბა ენჯუმენში. ორატორები ხაზ-გასმით აღნიშნავდენ სამშობლოს მოსალოდნელ განსაცდელს და მოიწოდებდენ ხალხს შინაური სისხისათვის ხელის შესაწყობათ. ბევრმა ქალმა ამ მიზნისათვის ძვირფასი სამკაულები შესწირა. ხალხი ენჯუმენის ინიციატივით მივიდა ტელეგრაფის კანტორაში და მეჯლისისაგან (თეირანში) დეპეშით მოითხოვა არ მიიღონ უცხო სახელმწიფოთაგან სესხის პირობები.

ვლასა მგელაძე.

ბ. მირზოევი იმუქრება.

ბ. მირზოევი რომ ქალაქის ხმოსანი არ ყოფილიყო, ჩვენ არც მის „აღსარებას“, არც მის ზღაპრებს, არც მის მუქარას და არც მის,—ვიტყვით ცხადათ,—ქალაქის ინტერესებით ვაჭრობას არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით. არ მივაქცევდით არა იმიტომ, რომ მას „ნერვები აქვს აშლილი“, არამედ—იმიტომ, რომ კერძო ადამიანის კერძო მოქმედებას ჩვენ არ შევეხებით. ჩვენ გვაინტერესებს და ვალდებულათ ვსთვლით ჩვენს თავს „საზოგადო მოღვაწეების“ მოქმედებაავსწონ-დავსწონოთ და შესაფერი სახელი დავარქვათ. ბ. მირზოევი კი, როგორც ყოფილი ხმოსანი, რასაკვირველია, „საზოგადო მოღვაწეთ“ უნდა ჩაითვალოს, და აი ამ მხრივ მისი მონაწილეობა „პრესის სინდიკატის“ საქმეში ჩვენი კალამის ობიექტად უთუოდ უნდა იყოს.

გამოვტყდებით და გულახდილათ ვიტყვით, რომ ბ. მირზოევი ჩვენ ძლიერ გვაინტერესებდა იმ დღიდან, რა დღესაც არტისტიულ საზოგადოებაში ბატაილმა მისი საქმენი-საგმირონი გამოამჟღავნა და საბრალდებულო სკამზე მიიწია და ადგილი დაუთმო. დამნაშავის ფსიხოლოგია, უმეტესს შემთხვევაში, ისეთია, რომ ის ცდილობს საქმეში რაც შეიძლება მეტი ამხანაგი იშოვნოს და ამით საქმე გაადიდოს, დახლართოს, რომ იქნებ მისი დანაშაულობა შემსუბუქდეს. ჩვენ ველოდებოდით, რომ ბ. მირზოევიც ბევრს თავის თანამოაზრეს და თანამონაწილეს დაასახელებდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რადგანაც მას გასაქანი გზა აღარ მოეპოვებოდა, საქმეში ძლიერ ჩაჭედილი იყო, ის ბანქოს გაშლიდა და მოთამაშეების გამოსვლებს გამოააშკარავებდა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ბ. მირზოევი მეტად ლმობიერი და სანდო ამხანაგი ყოფილა: ის არავის არ ასახელებს, არავის არ ღალატობს; ის სდუმს, თუმცა ხანდისხან, როდესაც მოთმინებიდან გამოიყვანებენ, ზოგიერთებს „უსახელოთ“ ფარისეველებს და მატყუარებს ეძახის. ბევრი რამის თქმა კი შეუძლია ბ. მირზოევს! ჩვენ ამას ვგრძნობთ; ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, და რომ ბ. მირზოევი ყოველივეს გულახდილათ იტყოდეს, მთელ საქმეს გამოააშკარავებდეს მისივე პერსონაჟებით, მას ესეც ეყოფოდა „საცხონებლათ“.

მაგრამ ის სდუმს და ჩვენ არ გვაქვს ძალა და საშუალება ის ავალაპარაკოთ. ბ. მირზოევს არ სურს „სულის ცხონება“, ჩვენც არ მოვერიდებით „წაწყმედილს“.

აღვნიშნოთ ფაქტები.

ბ. მირზოევმა შეადგინა ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო, პრესის საშვალებით კავკასიაში მრეწველობის აყვავება, გამაგრება, მისი ხელის შეწყობა. ეს მიზანი ბ. მირზოევს, მირზოევ—„ბურჟუას“, თუ გინდ ხმოსანსაც, უზნეობათ არ ჩამოერთმევა, ვინაიდან „ბურჟუი“ რისი ბურჟუა იქნება, თუ მრეწველობას არ დაეხმარა!

ბ. მირზოევი შეეკვრა პირობით ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომელსაც მისთვის ყოველთვიურათ უნდა ეძლია 350 მან., მირზოევს კი ტრამვაის ინტერესები უნდა დაეცვა. ამ პირობის ვადა გადიდდებოდა, თუ კი, „ამხანაგობის“ დახმარებით, ტრამვაის კონცესსიის ვადა გადიდდებოდა.

შევჩერდეთ ამ პირობაზე. ბ. მირზოევი ხმოსანია; მან უნდა დაიცვას ქალაქის ინტერესები. ტრამვაის ინტერესი ეწინააღმდეგება ქალაქის ინტერესს. ბ. მირზოევი ორ-ცეცხლ შუაა ჩავარდნილი: ქალაქის ინტერესს დაიცავს,—ტრამვაის პირობას დაარღვევს; პირობას შეასრულებს,—ქალაქს უღალატებს. როგორ უნდა მოიქცეს ხმოსანი მირზოევი? მან უნდა დაიცვას ქალაქის ინტერესი. თუ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ხმოსანმა მირზოევმა ტრამვაის მხარი დაუჭირა, ჩვენ უფლება და საფუძველი გვექნება ვთქვათ: ხმოსანმა მირზოევმა ოცდა ათ ვერცხლად გაჰყიდა ქალაქი. ვნახოთ.

«ამხანაგობას» აქვს თავისი გაზეთი „ეჟენედ. ობოზრენიე“. მოხდა ხუთი იანვრის დანაშაულობა—კატასტროფა. სუყველა დარწმუნებულია, რომ ხუთი იანვარი ტრამვაის დირექციის მოქმედების შედეგია. ჟურნალ-გაზეთები ერთხმად, თითქმის ერთხმად, ტრამვაის დირექციას სდებენ ბრალს. ბ. ყიფიანი სწერს წერილს, ტრამვაის დირექციის წინააღმდეგ, რომელიც უნდა დაბეჭდოს „ეჟენ. ობოზ.“-ში. ეთანხმება ხმოსანი მირზოევი? არა, ის ამის წინააღმდეგია: არ ღირს, ნუ გავილაშქრებთ ტრამვაის წინააღმდეგო. ეს ხომ ჩვენი მოგონილი არ არის! ამას ამოწმებენ: ვლ. ნაგურსკი, ლ. ყიფიანი და «ზაკავკაზიეს» რედაქტორი გ. ამირაჯიბი. განა აქედან ცხადზე უცხადესი არ არის, რომ ხმოსან მირზოევს გაუყიდია ქალაქი? განა ამით არ მტკიცდება, რომ „პირობამ“ სძლია ხმოსანის მანდატს? და, აბა, ვის გაუკვირდება, რომ ბ. მირზოევს ყოველივე ამის გამოაშკარავებამ ნერვები აუშალა, როგორც ამას თვით ბ. მირზოევი გვეუბნება!

ჩვენ გვჯერა, რომ „აეშლებოდა“ ის კი დაუჯერებელია, რომ ვითომც ბ. მირზოევი „გამომჟღავნების“ შემდეგ გაზეთებს არ კითხულობდეს, როგორც ამას ის გვარწმუნებს. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ის ერთ პწკარსაც კი არ დატოვებდა წაუკითხავათ ამ კითხვის შესახებ.

და ეს ბუნებრივია.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შემდეგი: ბ. მირზოევი, ათავებს რა თავის წერილს—„ჩემ აღსარებას“ ამბობს: გაზეთებმა, რომლებმაც ჩემს შესახებ სხვადასხვა წერილები დაბეჭდეს, ეს აღსარება უთუოდ უნდა გადაბეჭდონ—წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მათ შემდეგშიაც განაგრძეს წერა ჩემ შესახებ, მე მათ სამართალში მოვსთხოვ პასუხსო.

ჩვენ ვურჩევთ ბ. მირზოევს დაანებოს მუქარას თავი! ვარწმუნებთ მას, რომ ჩვენს სიტყვებს და მოსაზრებებს საფუძვლათ ფაქტები უძევს, ფაქტები სასტიკი და შემოწმებული.

ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ვწერთ არა მირზოევზე, არამედ—ხმოსან მირზოევზე.

იკა.

ახალი ამბები

ქალაქის საბჭო. ორშაბათს, 8 მარტს, შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭომ სხვათა შორის მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენესა შესახებ იმისა, სასურველია და სასარგებლო, რომ ქალაქის ხმოსანი იმავ დროს ქალაქის სამსახურში იყოს არჩეული და ჯამაგირს ღებულობდეს თუ არა. ამის შესახებ ქალაქის გამგეობამ თავის წინადადებაში შემდეგი დადგენილება წარუდგინა საბჭოს: სასურველი არ არის ქალაქის ხმოსანი იმავ დროს ქალაქის სამსახურში ირჩეოდეს და ქალაქისაგან ჯამაგირს ღებულობდეს. ამ საკითხმა ხმოსნებში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გადაწყდა, ყოველ კერძო, კონკრეტიულ შემთხვევაში საბჭომ კერძო მსჯელობა იქონიოს ამა თუ იმ ხმოსნის ჯამაგირიან ადგილზე არჩევის შესახებ. საბჭომ მსჯელობა იქონია თფილისის ახალ ელექტრონის სადგურის შესახებ და დაადგინა გადაიდოს ელექტრონის სადგურის გეგმის შესადგენათ 2,000 მ. მინდოს ქალაქის გამგეობას და სატეხნიკო კომისიას გეგმის შედგენა დააჩქარონ. საკითხი ქალაქის წყლის საყვანის გაფართოვების შესახებ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

◆ **საბურთალოს** მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ მიიღონ თავის თავზე იმ ხარჯების ნაწილი, რაც საბურთალოს წყლის საყვანისათვის იქნება საჭირო. საბურთალოს წყლის საყვანის მასალის მზადებას უკვე შეუდგენ. ქალაქის გამგეობას განკარგულება მოუხდენია, იათა ქალაქის წყლის საყვანის გამგემ საბურთალოს წყლის საყვანის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს და დაუყოვნებლივ წარმოადგინოს გამგეობაში.

◆ **იუბილეი.** ბაქოში ამ დღეებში გადაიხდიან მსახიობ მელიქიანის იუბილეის, სცენაზე მისი 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

◆ **ხიდი მდინარე გუბის წყალზე** სოფელ საჩინოს მცხოვრებლებს (ქუთ. მაზრა) შუამდგომლობა აღუძრავთ, რათა მდინარე გუბის წყალზე, რომელიც ამ სოფელს სავაჭრო ადგილებზე ძალიან აშორებს, როგორც მაგ. სამტრედიასა და სხ...ვ ააგონ ხიდი, რისთვისაც სოფელი თავის მხრივ დახმარებას პირდება მთავრობას, თუ კი მთავრობა ამ საქმეს რამოდენიმეთ მაინც დახმარებას გაუწევს. ამ გზით ს. საჩინო და სხვა ახლო-მახლო სოფლებიც ძალიან დაუახლოვდებიან რკინის გზას და დაბა სატრედიას.

◆ **შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.** როგორც გვატყობინებენ, ს. იანევის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ დაიარსონ სოფელში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

◆ **ჯარიმა.** თფილ. გენ.-გუბერნატორმა ოც-ოცდახუთი მანეთით დაჯარიმა მეყასბეები: ნ. მუსტაფ-ოღლი უვალიევი და ა. ოგანეზოვი, რომელთაც ბრალდებათ ზედ მეტ ფასათ ხორცის გაყიდვა.

◆ **სასწავლებლები კავკასიაში.** კანზრახულია 1910 წლიდან გახსნან ახალი საშვალო სპეციალური სასწავლებლები თფილისში, ქუთაისში, სოხუმში, კავკავში, პეტროვსკაში და სხვა ადგილებში.

◆ **რევიზორი.** სენატის ობერ-პროკურორი რეინკე დაინიშნა კავკასიის სასამართლოების რევიზორათ.

◆ **ავლაბრის კლუბი.** 7 მარტს ავლაბარში გაიხსნა „საზოგადო კლუბი“. კლუბის შენობაში გაიმართება ლექციები, წარმოდგენები და სახალხო კითხვები.

◆ **მინდვრის თაგვი.** თფილისის, თიანეთისა და დუშეთის მაზრის უფროსები გუბერნატორს ატყობინებენ, რომ ხსენებულ მაზრებში მინდვრის თაგვი ძლიერ გამრავლებულა.

◆ **ნაკადულის რედაქტორათ** გუბერნატორმა ნინო ნაკაშიძისა დაამტკიცა.

◆ **სობოლევსკის ლექცია.** სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გამართულ სობოლევსკის ლექციიდან დარჩა სულ 440 მან. წმინდა მოგება.

მკვლელობა. მიხაილოვში 6 მარტს ვიღაც პირებმა გაიტყუილეს სადგ. ბუფეტში მოსამსახურე გიორგი რევია, წაიყვანეს შორს და მხეცურათ მოკლეს. მოკლული ცოლ-შვილის პატრონი იყო. დიდი ხანია, რაც მიხაილოვის სადგურის ბუფეტში მსახურებდა.

◆ **რედაქტორის გასამართლება.**ბ თფილისის სოლქო სასამართლოში 5 მარტს გაირჩა საქმე გაზ. „მშაკის“ რედაქტორის ა. ა. ქალანთარისა და მისი გაზეთის თანამშრომლის ს. ნერსესოვისა, რომელთაც ბრალდებოდათ ჯავანშირის მაზრის მცხოვრების ქალაბეკოვისათვის ბეჭდვითი სიტყვით შეურაცხყოფის მიყენება. სოლქო სასამართლომ რედაქტორი ა. ქალანთარი და ს. ნერსესოვი დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა—პირველს ერთი თვის ციხე, ხოლო მეორეს ერთი თვით პოლიციაში დაპატიმრება.

◆ **გამოსადეგი მასპინძლობა.** 8 მარტს, დილის 10 საათზე თფილისის მცხოვრებმა ვასილ ჩიატაშვილმა განუცხადა პოლიციას, რომ 7 მარტს მას ვორონცოვის ხიდზე შეხვდა სამი უცნობი, რომლებმაც ის დუქანში მიიპატიჟეს—რადგან ჩიატაშვილი მთვრალი იყო, დასთანხმდა მათ და შეყვა დუქანში. დუქნიდან უცნობებმა ჩიატაშვილი ორთაჭალაში საქეიფოთ დაპატიჟეს—რაზედაც ჩიატაშვილი დასთანხმდა. გზაში უცნობებს ჩიატაშვილი ჩაუყვანიათ მტკვრის პირზე, წაუქცევიათ და წაურთმევიათ ოქროს საათი, ქუდი და სამი მანეთი ფული. სულ 92 მან. ღირებული. უცნობებს ჩიატაშვილის უვადო პასპორტიც თან წაუღიათ. პოლიციამ ბოროტ-მოქმედნი გ. ბეგატაშვილი, ე. ბაბუნაშვილი და გ. დალაქიშვილი დააპატიმრა.

◆ **დაჯახება.** 8 მარტს, დილის 10 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე გაქანებული ფურგუნი დაეჯახა ნახიჩევანის მაზრის მცხოვრებ, მუშა ალექსი ხუდოიანცს. ხუდოიანცი მსუბუქად დაშავებული მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს.

◆ **შეპყრობა.** 6 მარტს პოლიციამ შეიპყრო რაჟდენ გვარამაძე, რომელსაც პოლიციის ცნობით არზიევის მაღაზიის გაქურდვაში მონაწილეობის მიღება ბრალდება. არზიევის მაღაზიიდან, როგორც ვიცით, 5,000 მ. ღირებული ნივთი გაიტანეს.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საბავშო ჟურნალ «ჯეჯილის» მე-2 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია მოთხრობები, ლექსები, წერილები საქართველოს ისტორიიდან გეოგრაფიული ქარტით და სხვა. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთათაა გამოცემული.

◆ **„ნაკადული.“** რედაქციამ მიიღო ჟურნალ ნაკადულის იანვრის და თებერვლის ნომრები ცალ-ცალკე, მცირე წლოვანთათვის. მეორე ნომერში მოთავსებულია მარიამ დემურიას სურათები უკანასკნელი ხნის და ახალგაზრდობის და აგრეთვე წერილები მის სახსოვრათ. იმავე ნომერში მოთავსებულია განსვენებულის თარგმანი საბავშო მოთხრობა. მოთავსებულია აგრეთვე ლექსები და მოთხრობები: ვაჟა-ფშაველასი, ბაჩანასი, ევდოშვილის და სხვა. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა.

◆ 8 მარტს პოლიციამ დაატუსაღა ადმინისტრატიულად გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი სიმონ ვეჩერკოვსკი და ეკატერინა სტაბროვა.—ამავე დღეს სხვადასხვა საპოლიციო უბნებში შეიპყრეს 25 უპასპორტო.

ოზურგეთი. 28 თებერვალს ჩოხატაურიდან აქ ჩამოიყვანეს და ადგილობრივ სატუსაღოში მოათავსეს ამ ორი დღის წინათ ხიდისთავში და ჩოხატაურში დაპატიმრებული მასწავლებლები: ემილ. ლომთათიძე, სერ. რუხაძე პარ. ჰანიშვილი. მიზეზი დაპატიმრებისა დღემდე გამოურკვეველია...

— 12 აპრილს ქუთაისში გაირჩევა ეგრეთ წოდებული „გურიის რესპუბლიკის საქმე“, სადაც გაასამართლებენ. ძმ. დ. და ივ. გოგიტიძების და გ. შილაკაძის. მოწმეებს უკვე ჩაბარეს უწყებები.

— 4 მარტს გაჩხრიკეს და შემდეგ დაპატიმრეს მღლ. გორდელაძე და ი. ჩხარტიშვილი.

— როგორც გადმოგვცეს, ფერშალი გიორგი ახობელიძე იგზავნება 5 წლის ვადით კავკასიის საზღვრებიდან.

დედის სიმღერა

ჩუ, ნანა დედის ნუგეშო
ნამცეცო პაწაწინაო
ეგრე ფუნთუშა უგეშო
ნეტა ვინ გაგაჩინაო?
ბედის გარეშე დასკვნილო
შენ ჯერ არ იცი განაო,
მშობლის სიცოცხლე საწბილო
ცხოვრების გამოცანაო!
მუდამ ძონძებში შეგბლარდნა
და მკერდზე მიგიწვინაო.
თვალებზე ცრემლი მოადნა
ორჭოფვათ ჩაიცინაო.
ნანინა ვაის ნუგეშო,
ნამცეცო პაწაწინაო
აცალე ცოტა დედილოს
ოჯახს მიუგდოს ყურიო.
მამა მოგვივა, მამილო,
დაღლილს ეშველა პურიო
ვაკმაოთ თავის დადება
დუხჭირი სამსახურიო...
სხვისთვის განცხრომის მზადება,
თავის სხეულზე მურიო
დედის სანდომო თირკმელო
იძინე პაწაწინაო.
უსიტყვოთ შვების მომქმედო
ნანინა ტიტინაო
რაზედ შეფრფინდი სილადევ
რატო არ დაგეძინაო!
ჩალილულ თვალებს რას აძლევ,
იქნებ არ მოგწონს ბინაო
რითი გეწამლო უძლური
ჩვენს სახლს არა აქვს მინაო.
ნოტიო, ბნელი სადგური
ბედმა ჩვენ მოგვიჩინაო,
მაღლა სართულმა დაგვჩრდილა
მზემ ველარ გაგიცინაო.
სხვის საალერსოთ გახდილა
სხივი ვერ მოგაფინაო,
ან იქნებ ნაღვლის ძუძუმა
სიმწარე გაგრძნობინაო.
ნანინა ნუგეშის ცვარო
იმედის მტრედო გრიტაო
როდემდის ცრემლები ვღვარო
რატომ არ დაიშრიტაო.
ჩალუშვილ ჩანაცრემლები
რათ დამიღონე გულიო,
სხვაც ბევრი უნდა ვიგოდო
შენსავით უნებულიო.
რითი გისრულო, თუმც ვიცი,
ეგ ნდობა დამალულიო,
მაკმავე ზოზნა ფუცფუცი
შეირგე გასაჭირიო;
რა უნდა უთხრა დედასა
რათ შეიქმუნე პირიო
ნუღარ დაურთავ სევდასა
იყუჩე რათა სტირიო.
დედის სიტყვები მართალი
მწარეთ რათ ჩაგესმინაო
საიმედო მარცვალი
ნანინაო პაწაწინაო.
შენ შემოგევლოს დედილო,
რა უცბათ ჩაგეძინაო,
ემოწმე ღმერთო კეთილო
ტანჯული დედისთვინაო.
არ შემიშფოთო ალერსი
სიცოცხლე გამიხარეო
უბედო ბედის ნაკვესი
და ეგზოს კიდეც ბარეო.
ნახოს სამშობლოს სურათი
შრომის და ტანჯვის მხარეო
შეიგნოს თავის მუნათი
ცხოვრების ბრძოლა ცხარეო.
გადაუხადოს მგელ-კაცებს
იყოს ტანჯულთა მცველიო,
ვინც ჩვენს ყველაფერს იტაცებს
შემუსროს სისხლის მსმელიო.
ასრულდეს ნინვა დედისა
მხურვალე ნატვრის ჯერიო
გამაგრდეს ბურჯი დედისა
დიადი დროშის მჭერიო.
შენ გაიაზმე ცრემლები
გულის ნაწნეხი მწარეო
ისინე, შენ გეჳედრები,
ბუნებავ მზე და მთვარეო;—
გააჯრიზინე მარცვალი
ტაროსი შეუდარეო
რომ გაახილოს მან თვალი
ღრუბლები გადაყარეო.
ნანინა მკვიდრო ნუგეშო,
ნანინა გამახარეო!

ვ. ტუქსიშვილი.

სამგლოვიარო დეპეშა.

—

ხიდისთავი (გურია) ღრმა მწუხარებით დავსტირით უდროოთ დაკარგულ მეგობარ-ამხანაგ გრიგოლ კალანდაძეს, რომელიც სოფელ ხიდისთავში (გურიაში) გარდაიცვალა.

ელისე, ლეონტი, ერმილე, სერაპიონ, ილარიონ, თომა, ალექსი, გიორგი, გიორგი.

პატარა ფელეტონი

მარკოვ მე-2-ს რუსეთი.

(ო. ლ. დ—ორისა)

კაბინეთი სანოვნიკისა, იმდენათ წარჩინებული გვამისა, რომ მაზე, ისე როგორც მიცვალებულზე, შეიძლება მხოლოდ ითქვას—(ან კარგი, ან სულ არაფერი)...

კაბინეთში მასპინძელი და მარკოვ მე-2 ორივე ჩაფიქრებულია. ორივენი ერთმანეთს შესცქერიან: სანოვნიკი ფარული ძრწოლით, მარკოვ 2 აშკარათ აბუჩათ აგდებით.

სანოვნიკი ამბობს:

— ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, თქვენ ფიქრობთ, რომ ქვეყნის საკეთილდღეოთ ვექილები.....

— აუცილებლათ უნდა გავსწყვიტოთ! —აწყვეტინებს მარკოვი.

— სუყველა?

— დიახ, სუყველა! საჭიროა ღამით ალყა შემოვარტყათ ვექილების ბინებს, გამოვიყვანოთ ისინი მოედანზე და...

სანოვნიკი სმენათ გადაიქცევა.

— და ყველა ნაფიც ვექილებს დაუყონებლივ თავები უნდა მოვკვეთოთ. ნაფიც ვექილების თანაშემწეებს ბორკილები უნდა დავადვათ და მაღაროებში სამუშაოთ გავრეკოთ. შემდეგ უნდა დავიჭიროთ ყველა სტუდენტი—იურისტები და ჯარის კაცებათ გავაწესოთ. მხოლოდ ერთი ვექილის დატოვება შეიძლება...

— სახელდობ ვისი?

— ბულაცელის. ის ჩვენია, და მისი ხელის ხლება არ შეიძლება. აუცილებლათ საჭიროა მხოლოთ მას დავუმორჩილოთ ყველა პროკურორები და სასამართლოების თავმჯდომარეები.

— Слушаю-съ...

ნიშნათ თანხმობისა სანოვნიკი თავს დახრის. მარკოვი თავს ამაყათ ასწევს და დაბეჯითებით განაგრძობს:

— როდესაც ვექილებს მოვრჩებით, შემდეგ ექიმებს უნდა მივადგეთ.

— იმათ რაღას ვერჩით?

— ისე. ისინი განათლებულები არიან. ადამიანებს ჰრიან. და მათ შორის ბევრი ებრაელებია. ვლადიმერ „წითელი მზის" დროს ებრაელები არ იყვენ, ამიტომაც მაშინ ბუმბერაზებიც ცხოვრობდენ. ილია მურომეცი, ალიოშა პოასვიჩი. ახლა სადღაა ბუმბერაზები? მეტათ სასტიკათ უნდა მოვეპყრათ პსიხიატრ-ექიმებს.

— რატომ მაინც პსიხიატრ-ექიმებს და არა სხვებს?

ამ კითხვამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო მარკოვ მეორე.

— ეს... ეს... იმიტომ, რომ უკიდურესი მემარჯვენენი უფრო უშიშრათ იქნებიან. როდესაც პსიხიატრები არ გვეყოლება, ჩვენ უფრო მშვიდობიანათ ვიგრძნობთ თავს.

— Слушаю-съ... მაშ, ყველა ექიმები...

— არა, ყველა არა. შეიძლება ერთის დატოვება, სახელდობ ექიმ დუბროვინისა. მხოლოთ სასტიკად უნდა დავავალოთ, რომ ავათმყოფები უსათუოთ მოარჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სამშობლოს საქმე წასული იქნება.

ნიშნათ თანხმობისა სანოვნიკი ისევ დახრის თავს და დასძენს:

— შემდეგ კი ინჟენერების რიგი დადგება. ისინიც ხომ განათლებულნი არიან...

— ინჟენერები!?

მარკოვი სიცილით ზეზე წამოვარდება.

— ინჟენერები განათლებულნი არიან?! მეც ხომ თვითონ ინჟენერი ვარ. ნუ თუ თქვენ ამის შემდეგაც დაიწყებთ მტკიცებას, რომ...

მარკოვი გულიანათ ხარხარებს. შემკრთალი სანოვნიკი ბოდიშს იხდის:

— ჩემო ახალგაზდა მეგობარო, მე თქვენი შეურაცხოფა აზრათაც არ მომსვლია... ახლა მეც თვითონ ვხედავ, რომ შევცდი... მაპატიეთ.

მარკოვი სიცილს შესწყვეტს.

— ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ინჟენერებისაგანაც გაიწმინდოს ქვეყანა.

— მაშასადამე, ყველა...

— არა, ვერ მოგართვი. ერთი ინჟენერი უნდა დავსტოვოთ... მე ხომ ინჟენერი ვარ... მე ერთი გავიყვან რკინის გზებს და სახაზინო შენობებს ავაგებ. რა კარგათ ვიგრძნობ მე თავს მაშინ და სამშობლოც რა ბედნიერი იქნება!

— კეთილი. ინჟენერების შემდეგ?

— ინჟენერებს უნდა მივადევნოთ ჟურნალისტები. თვითეულ მათგანს დიდი ქვა კისერზე და წყალში.

— გსურთ, რომ გაზეთები სრულიად მოისპოს?

მარკოვი განცვიფრებული თვალებით შეხედავს სანოვნიკს და მშვიდობიანათ ამბობს:

— რისთვის მოისპობიან? „ზემშჩინამ", „რუსსკოე ზნამიამ" და „კოლოკოლმა" დაგვიმტკიცეს, რომ გაზეთებისათვის ჟურნალისტები ზედმეტი ბარგია. საკმარისია ორი-სამი ფარეში, ამოდენივე უმცროსი მეეზოვეები და რამდენიმე მარდი იატაკის მწმენდელი (полотеры)—და ნამდვილი ჭეშმარიტ რუსული გაზეთიც მზათ იქნება...

— თქვენ მართალი ხართ!—ეთანხმება სანოვკინი.

ის შუბლზე ხელის გულს მიიდებს, რამდენიმე წამს ჩაფიქრდება და გაუბედავი კილოთი შენიშნავს:

— ყოველ შემთხვევაში... უინტელიგენციოთ არ ივარგებს... ხალხი უინტელიგენციოთ... მარკოვი თვალებს სანოვკინს მიაპყრობს.

— ხალხი-კი რაღა საჭიროა?

— წამოიძახებს ის გაბოროტებული— პირველი მტერი ჩვენი ძვირფასი სამშობლოსი—ეს ხალხია. დღეს მას მშვიდობიანათ მოაქვს თავი, ხვალ-კი... არა, ხალხი აუცილებელათ უნდა მოვსპოთ...

— მთლათ?

— მთლათ რატომ? ერთი უნდა დავსტოვოთ—ტიმოშკინი. ის ჩვენია. ყველა დანარჩენთ წყალში უნდა გადავუძახოთ...

სანოვნიკს ელდისაგან სახე საშინლათ გაუფითრდება. ის გაოცებული შეჰყვირებს მარკოვს:

— ერთი ეს მიბრძანეთ, ვილა დარჩება?

— როგორ თუ ვინლა?—აწყვეტინებს მარკოვი. ერთხელ ხომ ჩამოვითვალე ვინც დარჩება. დარჩებიან: ბულაცელი, დუბროვინი, მე და ტიმოშკინი.

— მერე, მე?

სანოვნიკი სავარძლიდან წამოვარდება. მისი თვალებიდან უზომო შიში გამოკრთის.

— თქვენ?

ორ წუთს მარკოვი დაცინვით შესცქერის სანოვნიკს და წყნარათ უპასუხებს:

— თქვენ შესახებ ჩვენ შემდეგ მოვიფიქრებთ... როდესაც ჩვენ პროგრამას შევასრულებთ...

მარკოვი დგება და სანოვნიკს ორ თითს გაუწოდებს. სანოვნიკი კრძალვით უჭერს მას ხელს...

ღია წერილი ბ. დამსწრეს.

—

„ჩვენი აზრი"-ს მე-27 ნომერში მოთავსებული იყო თქვენი კორესპონდენცია სად. ულუხანლუდან. ამ კორესპონდენციისათვის მე სამართალში მიმცეს. თუ თქვენ არ წარსდგებით სასამართლოს წინაშე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ფაქტები და აგრეთვე თქვენი ადრესი რაც შეიძლება დაჩქარებით.

გაზეთ „ჩვენი აზრის" რედ.-გამომცემელი **ირ. პერტენავა.**

წერილი სპარსეთიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სესხის საკითხი

რეშტი, 1 მარტი.

ამ ჟამათ სპარსეთის წინ მეტათ დიდმნიშვნელოვანი კითხვა სდგას. მეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ კითხვის დაბოლოვებაზე არის დამყარებული სპარსეთის არსებობის ბედ-იღბალი. ეს კითხვაა—სპარსეთის დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთება. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ყოფილმა შახმა სპარსეთი „დაგირავებული" დატოვა. საუკეთესო გზა ტკეცილები უცხო სახელმწიფოთა ხელშია, დამოჟნები დაგირავებულია, სიდანაც შემოსავლის ორი ნაწილი რუსეთს მიაქვს და ერთი მესამედი სპარსეთს რჩება. ერთი სიტყვით, არც ერთი შემოსავლიანი წყარო არ რჩება თვით სპარსეთს. ამას ზედ ერთვის დაახლოვებით **35** მილ. მანეთამდის რუსეთის ვალი და ხელ-ფეხ შემბორკველი ხელშეკრულება რუსეთთან. ამ ხელშეკრულობის ძალით სპარსეთს არ შეუძლია სანამ რუსეთის ვალს არ გადაიხდის, სხვა ვალი აიღოს რუსეთის დაუთანხმებლათ. ამ ჟამათ ხაზინა ცარიელია, ხალხი ძალზე გაღატაკებულია, სპარსეთის აღორძინება კი ფულს თხოულობს. ასეთ პირობებში უხდება მუშაობა სპარსეთის მთავრობას და მეჯლისს. ან უნდა გამოიყვანონ მათ სპარსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დღევანდელი უკიდურესი კრიზისისაგან, ანდა სპარსეთი უნდა დაიღუპოს. ცხადია, მისია ადვილი არ არის. ამ ცოტა ხნის წინათ მთავრობამ მეჯლისის თანხმობით რუსეთ-ინგლისს მიმართა სესხისთვის. მთავრობამ სთხოვა მიეცა მათთვის სანამ საბოლოვოდ გამოირკვეოდეს ახალი სესხის კითხვა, ავანსად 5 მილ. მანეთი, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისე აქაც, ყველამ თავის სარგებლობისაკენ გასწია ხელი, მათ კარგათ იციან დღევანდელი სპარსეთის მდგომარეობა და ამიტომ ისეთი პირობები წამოუყენეს, რისი მიღებაც თავისი ხელით ყელის გამოჭრას ნიშნავს. მათ უპასუხეს: ფული მიირთვით, მაგრამ მის დახარჯვაზე კონტროლი ჩვენ ჩაგვაბაროთო. ფული მიირთვით, მაგრამ ჩრდილოეთ სპარსეთში ჟანდარმერიის მოწყობის ნება მოგვეცითო. ასეთი პირობების მიღება კი სპარსეთისათვის დამოუკიდებლობის გამომშვიდობებას ნიშნავს. ამას მიხვდა რადიკალური გაზეთი **„ირანო"** და ბეჯითათ მოუწოდა ხალხს პროტესტი გამოეცხადებინა უცხო სესხის წინააღმდეგ. მან ნათლათ დაახასიათა წამოყენებული პირობები, აღნიშნა წამომყენებელთა სულისკვეთება და ასე დაათავა თავისი მოწოდება: „ჩვენი ვალია არ დავზოგოთ არაფერი სამშობლოს განსაცდელისაგან გამოსაყვანათ და თუ დაღუპვა აუცილებელია, დეე, დავიღუპოთ ბრძოლაში!" როგორც მკითხველებს ტელეგრამებიდან უკვე ეცოდინებათ, «ირანოს» მოწოდება არ დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". მას ფიცხლავ გამოეხმაურა თეირან—შირაზ-ისპაგანი. გაიმართა აღნიშნულ ქალაქებში უცხო სახელმწიფოთა სესხის წინააღმდეგ მიტინგები და ხალხმა შინაური სესხის მიცემა აღუთქვა მთავრობას. რამდენათ შეასრულებენ თავიანთ დაპირებას,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს; ეხლა კი მინდა აღვნიშნო, თუ როგორ მონაწილეობას იღებს რეშტი და საზოგადოთ გილანის პროვინცია ასეთ დიდ-მნიშვნელოვან კითხვის გადაწყვეტაში. რეშტმა თავის რევოლიუციონური გამოსვლით იმ დროს, როცა გარეშე ძალის მეოხებით შეუძლებელი შეიქნა ბრძოლა თავრიზში, თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა, მამასპარსეთის რევოლიუციაში. ეხლა კი სდუმს. სწორეთ იმ დროს, როდესაც ირანის არსებობის კითხვა უნდა გადასწყდეს. აქ დღემდის არაფერი არ გაკეთებულა. თუ სხვა ქალაქებში ფული იკრიბება და კრებები იმართება, რეშტში გუსეინ ალის ორმოცს იგლოვენ და ქუჩა—ქუჩა დადიან, მკერდში ხელს იცემენ. რით აიხსნება ასეთი გულ-გრილობა? შეიძლება სიღარიბით? არა. რეშტი ერთი უმდიდრესი ქალაქთაგანია. აქედან გადის რუსეთიდან შემოსული საქონელი, აქ არსებობს მრავალი აბრეშუმის პარკის ქარხანა, აქედან გადის აუარებელი ბრინჯი სამზღვარ-გარეთ. მაშასადამე, სიღარიბეზე ლაპარაკი შეუძლებელია. მიზეზი სულ სხვაა და ამაზე მინდა გადვიდე. აქ არსებული სიმდიდრის უმეტესობა უცხო სახელმწიფოთა ქვეშემრდომთა ხელშია. მაგალ., პარკის საუკეთესო ქარხანები ბერძნების ხელშია. საუკეთესო მაღაზიები რუსეთის ქვეშევრდომთა სპარსელების ხელშია, აგრეთვე ვაჭრობის დიდი ნაწილი სომხების ხელშია. ცხადია, არც ერთს მათ არ აინტერესებს სპარსეთის არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. მათი დევიზი—ოქროები ჯიბეში და ირანი თუნდაც ეშმაკების ხელში. ეს არც გასაკვირალია. რას შვრება მკვიდრი სპარსელი, რათ არ იღებს ხმას? არ შეგვიძლია ვსთქვათ აქ არ იყონ ჯიბე ჩასქელებული სპარსელები. მათი რიცხვი არც ცოტაა, მაგრამ მაინც სდუმან. ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ეს ერთი, რომ გილანელ-სპარსელს ფული დაანახვე და ირანი თუ [illegible] ტარტაროზებს მიუღიან. [illegible] მზათაა ფულისათვის თვისი ცოლ-შვილიც გაყიდოს. ამასთან, მეტათ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს რეშტელ ვაჭარზე უცხო ვაჭართა თავ-ახსნილობა. მათ ქცევას აქ არავითარი სამზღვარი არ აქვს. ამათი ქცევის დამახასიათებელი მაგალითები აქ მრავალია, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ორს: ოსმალოს ქვეშემრდომ ბერძენ ლასკარიდის მართებია სპარსელი ვაჭრის **4000** მან., სპარსელი მასთან მისულა და ფული მოუთხოვია, ლასკარიდის უპასუხნია, ეხლა არა მაქვს და მალე მოგმართმევო, როცა სპარსელი კიბეზე ჩამოსულა, მას წინ მაუზერებით ხელში ბაქოელი «ყოჩები» დახვედრიან და მოუთხოვიათ, ამ წამს ვექსილი ამოიღე და ხელი მოაწერე რომ **4000** მ. მივიღე, თორემ შენი დღეები დათვლილიაო. მასაც, სიკვდილის შიშით ვექსილზე ხელი მოუწერია და მათვის გადუცია. იქიდან გამოსულმა სპარსელმა მიმართა ადგილობრივ პოლიცმეისტერს და გუბერნატორს, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. ლასკარიდი არხეინათ გზას გაუდგა საფრანგეთისაკენ.

ამ დღეებში ორ ბაქოელ თათარს ჩხუბი მოუვიდათ და სროლა ასტეხეს: ერთი მათგანი გაიქცა, უკან პოლიციელები დაედევნენ, მაგრამ მან მოასწრო სახლში შესვლა, იქ ბარიკადი გაიკეთა და პოლიციელებს სროლა აუტეხა. პოლიციელებმა სროლითვე პასუხის გაცემა მოუნდომეს, მაგრამ უფროსმა ნება არ მისცა, რადგანაც მსროლელი ბაქოელი იყო. ყოველივე ასეთი მაგალითები იმედს უკარგავს სპარსელ ვაჭარს, მას არ სწამს სპარსეთის აღორძინება, ის ხედავს, რომ საკმაოა სხვა სახელმწიფოს ქვეშემრდომი იქნე და შენ თარეშს მაშინ სამზღვარი აღარ ექნება და ამის გამო აკი არც ის დაეძებს რა ბედი ეწევა ირანს, მას მხოლოდ ფული, ფული და ფული, ეს არის მისი ღმერთი, მისი კურანი. ბევრი მაგალითებია, რომ შეძლებული სპარსელი რუსის ქვეშევრდომი ხდება. ასე უყურებენ კითხვას რეშტის შეძლებულნი და საწყალ, ტყავ-გამძვრალ ღარიბს რა აქვს, რომ მთავრობას მისცეს...

სერგო კლდისმარელი.

უკანასკნელი ფოსტა

საზღვარ-გარეთ

სოციალისტების მიტინგი. პარიზელ სტუდენტების სოციალისტურმა ჯგუფმა 3 მარტს მიტინგი გამართა, რომელსაც მიზნათ ჰქონდა პროტესტი გამოეცხადებია ბრეშკო-ბრეშკოვსკის ქალის გასამართლების და იმ განაჩენის შესახებ, რომელიც ამ საქმის გამო სასამართლომ გამოიტანა. მიტინგს 2,000-ზე მეტი კაცი დაესწრო. სხვათა შორის ერვემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება ხელი შეუშალონ რუსეთს, რომ საფრანგეთიდან სესხი ვერ აიღოს. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც სურვილს გამოსთქვამს, რომ სახელმწიფო დუმამ კანონ-პროექტი გაიყვანოს პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ.

გერმანელი პურიშკევიჩი. რეიხსტაგში, დიდი უწესოება მოხდა. უკიდურეს მემარჯვენე ოლდენბურგმა კამათის დროს განაცხადა, რომ ლიბერალებს მულერს და გაუსმანს პატიოსნებაზე წარმოდგენა არა აქვთო. ორატორს თავმჯდომარემ წესიერებისაკენ მოუწოდა. ოპოზიციონერები ძალიან ააღელვა ოლდენბურგის სიტყვებმა. მემარცხენე ორატორებმა რეიხსტაგის ტრიბუნიდან განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარ პირადულ ნაცნობობას სწყვეტენ ოლდენბურგთან. ოლდენბურგმა ლაპარაკი დაიწყო „დუელის" შესახებ. პარლამენტში საშინელი ხმაურობა ასტყდა. „გაეთრიე, არამზადა! მასხარა!" იძახდენ დეპუტატები. თავმჯდომარემ ძლივს აღადგინა წესიერება. კონსერვატორებმა განაცხადეს, რომ ისინი თვითონ კიცხავენ ოლდენბურგს უმართებულო საქციელისათვის.

რუსეთი.

უარი თავმჯდომარეობაზე. როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, ნ. ა. ხომიაკოვმა უარი განაცხადა სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეობაზე. თავის გადაწყვეტილება ხომიაკოვმა ოფიციალური წერილით აცნობა სახ. დუმის თავმჯდომარის ამხანაგს თავ. ვოლკონსკის. რადგან ვოლკონსკი 5 მარტს დუმაში არ დაესწრო, ხომიაკოვმა თავისი თანამდებობა ს. ი. შიდლოვსკის გადასცა.

ხომიაკოვის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ, როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა სახ. დუმის უმრავლესობა მასთან უარყოფით დამოკიდებულებაში იყო. უკანასკნელი სხდომების დროს ხომიაკოვს მხარს უჭერდენ მხოლოდ ოქტომბრისტები.

ოქტომბრისტთა ფრაქციის ლიდერებთან კერძო ბაასის დროს ხომიაკოვს განუცხადებია, რომ ის თავის გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ შესცვლის.

ხომიაკოვის განცხადებამ ძალიან დააღონა ოქტომბრისტები.

სტოლიპინის წერილი. როგორც დუმის კულუარებიდან იტყობინებიან, ხომიაკოვს სტოლიპინისაგან წერილი მიუღია, რომელშიაც პრემიერ მინისტრი უკმაყოფილებას აცხადებს სახ. დუმის თავმჯდომარის მოქმედების გამო, რომელმაც საშუალება არ მისცა სახალხო განათლების მინისტრს შვარცს სახ. დუმაში თავისი განმარტება დაესრულებინა. დეპუტატების სიტყვით, ამ წერილს საბოლოოდ დაურწმუნებია ხომიაკოვი, რომ თავმჯდომარის თანამდებობიდან გადამდგარიყო.

კანდიდატები თავმჯდომარის ადგილზე. შესდგა ოქტომბრისტთა ფრაქციის თათბირი, რომელზედაც სახ. დუმის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს ფონ-ანრეპი და ს. ი. შიდლოვსკი.

ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი საკუთარ კანდიდატს არ წამოაყენებენ და თუ ვინიცობაა მემარჯვენეებმა კრ. ბობრინსკი დაასახელეს თავმჯდომარის ადგილზე, ნაციონალისტები არც მას დაუჭერენ მხარს.

პ. ნ. მილიუკოვს უთქვამს, რომ კადეტები თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

პროტესტი პურიშკევიჩის წინააღმდეგ. პურიშკევიჩის თავხედურმა საქციელმა, რომელიც პროფესორებისა და სტუდენტების უდანაშაულო შეურაცხყოფაში გამოიხატა, ძალიან აღელვა პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პურიშკევიჩის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია შეიმუშავეს, რომელზედაც რამოდენიმე ას კაცს უწერია ხელი. უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია სტუდენტების საზოგადო კრება, რომელიც მსჯელობას იქონიებს პურიშკევიჩის უკანასკნელ სიტყვის შესახებ.

პურიშკევიჩის „დუელში“ გამოწვევა. სტუდენტ იური'ტს პოლნერ-ბოლოტინოვს, გაზეთ „უ. რ.“ სიტყვით, პურიშკევიჩი „დუელში“ გამოუწვევია.

— პურიშკევიჩის უკანასკნელი გამოსვლის გამო ა. ბობრინსკის განუცხადებია, რომ მემარჯვენეთა ფრაქციიდან გავდივარო.

სემინარიის გაჩხრეკა. „ინოროდცების“ სასტატო სემინარიაში, (ყაზანში) პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა. სემინარიის ეკლესიის ქვეშ აღმოუჩენიათ დიდძალი არალეგალური გამოცემანი და მოწაფეების სიდუმლო ჟურნალის ნომრები.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ამ შემთხვევის გამო სემინარიიდან გამოურიცხავთ უფროსი კლასების 45 მოწაფე.

მიწის საკითხი.

(წერილი სუფსიდან)

აქაური მამულების უმეტესობა სახნავ-სათესია ის თუ ტყე, წინათ ეკუთვნოდა გურიელებს და დიდი ხანია რაც დაგირავებულია სახელმწიფო-საზნაურო ბანკში. ამ ბანკის წესდების ძალით როდესაც დაგირავების ვადა გადის, დახსნაში უპირატესობა თვით დამგირავებელს ეძლევა. თუ ის ველარ დაიხსნის, მამული რჩება ბანკს, რომლის მიზანია ან ერთი ათად მეტ ფასში მიყიდოს გაძვალტყავებულ გლეხობას, ან და ჩამოასახლოს რუსები.

ხსენებულ ბანკში დაგირავებული ჰქონდა თავად ვახტანგ გურიელს 600 დესეტინა მიწა, მდებარე სად. სუფსის მახლობლად, რომელიც ადგილობრივ ახლო-მახლო საზოგადოებების მცხოვრებთ აქვთ საყანეებათ.

დახსნის უკანასკნელი ვადა წელს ჰქონდა გურიელს. მას მიმართეს სხვადასხვა პირებმა და სთხოვეს მათი ფულით დაეხსნა მამული და შემდეგ სარგებლით მათთვისვე გადაეცა. სხვათა შორის მე ავუხსენი გურიელს თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებიან ადგილობრივი მცხოვრებნი და მეყანეები, რომ ამ მიწების საქმე ისე მოეწყოს, რომ საყანეთ და სასარგებლოთ აქაურებს არ დარჩეთ და ვსთხოვე, თუ შეძლებდენ და მოისურვებდენ ყიდვას, ჯერ ადგილობრივ მცხოვრებთათვის მიეცა წინადადება. გურიელი ამაზე დათანხმდა. შემდეგ სოფლის კანცელარიაზე შევკრიბეთ საზოგადოება და გავაცანით საქმის შინაარსი. მათ განაცხადეს სურვილი რომ ჩვენ დევიხსნით მამულსო. აირჩიეს გამგეობა და შეუდგენ ხელის მოწერას. თითქმის ყველა მსურველი ჩოჩხათის საზოგადოებაში აღმოჩნდა, გამოირკვა რომ ამ ექვსას დესეტინა მიწაში, 150 დესეტინა ყანათ ჰქონებოდა ჯურუყვეთის საზოგადოებას და 100 ჯუმათისას. გაიგეს თუ არა ეს ისინმა მოგვთხოვეს შემახანაგება. მოვიწვიეთ ხელმეორეთ ყრილობა. მსურველები ჩოჩხათიდან კიდევ მოგვემატა. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა: საზოგადოების უმრავლესობა იმ აზრს დაადგა, რომ მამული ჩვენ „დახაშია“ და ჩვენ უნდა ვიყიდოთო და თუ მოსახერხებელი იქნება მიმართეთ კომისიასო. ამის შემდეგ მოგვმართეს, ჩვენ კომისის წევრებს. ჩვენ მეტი გამოსავალი გზა ვერ ვნახეთ: ვინც სამი დესეტინა დეიწერა ჩოჩხათიდან, იმათ თითო მოვაკელით, ვისაც ორი ჰქონდა და ამავე დროს სხვაც ბევრი მასაც მოვაკელით და ამ გზით ოთხმოცი დესეტინის ყიდვის უფლება მივეცით ჯურუყვეთის საზოგადოებას და ორმოცის—ჯუმათისას, დანარჩენი დარჩა ჩოჩხათელებს. თავის თავად ცხადია, ამით ბევრი ჩოჩხათელი სრულიად გამორჩა, მაგრამ ისეთი არა, რომ შიგ ყანა ჰქონებოდეს. ამან გამოიწვია უკმაყოფილება. ზოგიერთებმა, მათ შორის ადგილობრივმა მამასახლისმაც, იშოვნეს დრო და მორთეს ერთი აურ-ზაური: თქვენმა კომისიამ თქვენ ჯურყვეთზე და ჯუმათზე გაგცვალა, თქვენ უმიწოთ დაგტიათ და სხვა. ამით უნდათ პროვოკაცია მოახდინონ და მეზობელი საზოგადოებები ერთმანეთს გადაჰკიდონ. მარა ამით ფონს ვერ გავლენ, სიმართლე ბოლოს თავისას გაიტანს და დაინტერესებული სოფლები მიხვდებიან თუ რაშია საქმე და როგორ უნდა მოგვარდეს მიწის საკითხი ასეთ პირობებში.

კომისიის წევრი **ქრ. გურგენიძე.**

პროვინცია

ჭიათურის რაიონი. 5 მარტს ღამე ჯარბელას ზევით, კლდიდან გადმოვარდა ჩალვადარი მუშა მოსე ცარციძე, რომელიც სასიკვდილოთ დაშავდა.

ასეთი მარცხი კინაღამ განმეორდა 6 მარტს აქვე ახლოს, კილავთარის კლდეზე აყვანილი გზის ყორე, კედელი დაინგრა და კინაღამ რამდენიმე მუშა ქვეშ მოყვა. მაგრამ, საბედნიეროთ, იქვე ახლოს ფორვედის „სპუსკზე“ მომუშავე მუშამ ექ. ვაჩეიშვილმა დაინახა რა ეს, სანამ ქვევით მიმავალმა ეურმეები დაინახვიდენ, მიაძახა „თავს უშველეთო!“ მეურმეები გაიქცენ და გადარჩენ მხოლოთ ერთი ქვით ტვირთული უცბათ მოჰყვა ქვეშ. მრეწველთა საბჭო მოვალეა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, შეაკეთოს გზები, რომ შემდეგში თავიდან აიცილონ ასეთი უბედური შემთხვევები.

კე—კე ბ—ლი.

სოფელი სართიჭალა (თფილისის მაზრა). სოფელ სართიჭალაში ორასი კომლი გლეხი ცხოვრობს. უმთავრესათ მისდევენ ხვნა თესვას და შინაური პირუტყვის მოშენებას. გასულ წელს კარგი მოსავალი იყო. წელსაც კარგი პირი უჩანს ჰირნახულს თუ გაზაფხულმაც ხელი შეუწყო. აქ არსებობს სამრევლო სკოლა, რომელიც მოთავსებულია ერთ პატარა დაქირავებულ ოთახში. უადგილობის გამო ბევრი მოსწავლე სკოლის გარეთ რჩება, თუმცა სართიჭალის საზოგადოებამ 1903 წელს დაადგინა განაჩენი და კიდეც შეუდგა შენობის აგებას მღვდელ მჭედლოვის თაოსნობით, მაგრამ როცა სახურავს მორჩენ, უეცრათ ჩამოინგრა და დარჩა ჩამონგრეული კედლები. ფუჭათ ჩაუარა შრომამ საწყალ გლეხებს და იძულებული გახდენ თავი მიერებებინათ. დღეს პატრონი აღარავინ უჩანს, თუმცა ყოფილი მამასახლისი ნიკო ბარძიმაშვილი შეეცადა დანგრეული სკოლის გადაკეთებას და კიდევაც შეეცადა ეშუამდგომლა საგლეხო ბანკის და თფილისის სასულიერო სასწავლებლო საბჭოს წინაშე მარა ამაოთ!

თიანეთი.

სვირი. მე მსურს ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, თუ რამდენათ საფუძვლიანია ჩვენს გლეხებში გავრცელებული რწმენა, თითქოს ბ. ანანოვი „ბევრ სიკეთეს“ სთესდეს მათ უმწეო ცხოვრებაში.

ისეთ უვარგის ტყეს, როგორიც არის თავისი ჩამომტვრეული დასალპობათ გამზადებული შტოები, ან ბაზარზე დაწყობილი „შპალები“, წაქცეული ხეები და სხვა, ბ. ანანოვი გლეხებისთვის ხელმისაწვდომ ფასებში ჰყიდის. თუ ხშირი ტყის გაკაფვა დასჭირდა, ის გლეხებს იწვევს და მცირე ფასებში აძლევს მათ გამოჭრილ ხე ტყეს, მაგრამ თან უთითებს:—ეს ხე უნდა მოიჭრას და ეს კი დარჩესო. ამ რიგათ, უვარგისი ხეების გამოკაფვით ის საჭრისს სტოვებს და დარჩენილ ტყეს შეღავათი ეძლევა რომ უფრო გაიზარდოს და პატრონს შესაფერი სარგებლობა მოუტანოს. წარმოიდგინეთ, რომ ბ-ნმა ანანოვმა უვარგისათ დაყრილი ხე-ტყე ვერ გაჰყიდა ვერც გლეხებში და ვერც ბაზარზე მაშინ ხომ არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ან კიდევ: თუ გასაკაფ ტყეში გლეხები არაფერს გაიღებენ და არ გაკაფვენ, ტყის პატრონი იძულებული იქნება თავათ გაიღოს ქირა და ტყე გააწმენდინოს მუშებს: ამნაირათ, თვით გლეხები უწევენ „ბევრ სარგებლობას“ ბ. ანანოვს და არა უკანასკნელი მათ. თუ კი ანანოვს გლეხების ბედნიერება სურდეს, და არა ყველა კაპიტალისტებივით საკუთარი ჯიბის გასქელება, (ეს სიტყვები მის დამქაშებს, „უპრავლიაუშჩებს“ მუდამ ტუჩებზე აკერიათ) განა მეტი სიკეთე შეეძლებოდა, ვიდრე მისგან გაყვანილი წყლის არხით ესარგებლებია გაძვალ-ტყავებულ გლეხებსაც?

აი საქმე რაშია: ამას წინათ ანანოვი დაეკითხა სვირელ გლეხებს: დასთანხმდენ და მათ მამულში (ზოგი სახელმწიფო და ზოგიც მესაკუთრეთა მიწებია) წყლის არხი გაეყვანა თავის მამულების სარწყავათ. გლეხებმა, დარწმუნებულებმა, რომ არხი უსარგებლოთ დასჭირდა მათ მამულს და სარგებლობა მხოლოდ ანანოვის იქნებოდა, უარი განუცხადეს. მაგრამ ანანოვი რის „ანანოვი“ იქნებოდა, თუ სხვა საშუალებას ვერ გამოსძებნიდა! მთავრობის დახმარებით მან სახელმწიფო მიწები უსასყიდლოთ იშოვნა და მესაკუთრეების დასაკმაყოფილებლათ კი ისევ მთავრობის დახმარებით „კომისია“ დაინიშნა.

დღეს კი მუშაობას უკვე დაადგენ: არხი გაჰყავთ და „ბევრი სიკეთის“ მომტანი ანანოვი კი ამ რიგათ დაემუქრა გლეხებს:—არამც თუ გასარგებლებთ ჩემი გაყვანილი წყლით, პირიქით ნახირი რომ წყლის დასალევათ ჩამოვიდეს დავიჭერ და „შტრაფს“ გადაგახდევინებთო. განა არ შეეძლო „გლეხების შემბრალე“ ანანოვს დახმარებოდა მათ და იმ 3000 ქცევა ადგილებში, რომელიც დღეს უწყლობის გამო თითქმის უვარგისია, წყალი დაერიგებია? დიახ ეს სიკეთე იქნებოდა ნამდვილი სიკეთე და კიდევაც შეიძლებოდა მისი ადვილათ გატარება, მაგრამ გლეხები იმისთვისაც სანთელს უნდა უნთებდენ ანანოვს, რომ სხვაა ზემოთ ჩამოთვლილ „სიკეთეს“ უხვათ აწვდის მათ.

ორ სოფლელი.

ს. მათხოჯი (ქუთ. მაზრა). სამ წელზე მეტია რაც ამ სოფელში აირჩიეს „კომისია“, რომელსაც დავალებული ქონდა წყლის გამოყვანა მდ. ცხენისწყლიდან შუა სოფელში, რომ გვალვის დროს მცხოვრებთ შეძლებოდათ ყანების მორწყვა.

კომისია მხოლოდ წარსულ 1909 წ. ივნისში შეუდგა საქმეს. შეუდგენ ძველი არხის გაჭრას. ხალხმაც დიდის ენერგიით მოკიდა ხელი ამ ფრიად სასარგებლო საქმეს, ასე რომ წყალი გვალვების დროს უნდა გამოსულიყო და კიდევაც ბევრ სარგებლობასაც ნახავდენ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ კეთილ საქმეს ჰყავს მტრები და ამ საქმესაც გამოუჩნდენ. მოხდა თვით „კომისიის“ წევრებს შორის უთანხმოება და ამნაირათ მოწყობილი საქმე, რომელიც მხოლოდ ორი კვირის მუშაობას ითხოვდა, ზოგიერთების წყალობით შეჩერდა. ვინ იცის, რამდენი ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს ზოგიერთების უთავბოლო დაპარაკმა. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ არ მომხდარიყო „კომისიაში“ უთანხმოება და მათი საქციელით ხალხს გული არ გატეხოდა,— წყალს თავის დროზე გამოიყვანდენ, ყანებიც დროზე მოირწყვებოდა და მოსავალიც ერთი სამათ მეტი იქნებოდა.

ამის შემდეგ კომისიამაც თავი დაანება საქმეს; მხოლოდ ეს ორი კვირაა გაიღვიძა და კიდეც შეუდგა მუშაობას. ზოგიერთები კიდევ თავისას არ იშლიან—კიდევ ვერ მიმხვდარან, რომ მათი ენატანიაობით და უთავბოლო სიტყვების როშვით—ერთობ დიდი ზარალი მოუტანეს საზოგადოებას; მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მათ უსაფუძვლო ლაპარაკს ყურს არ ათხოვებს და ერთხელ დაწყებულ საქმეს სისრულეში მოიყვანს.

ნ—თე.

მუშათა შორის

პალიასტომის სათევზაოს მუშები. პალიასტომის სათევზაო რამდენიმე წლის უკან იჯარით ქონდა აღებული ბ. ს. კილურაძეს. შემდეგ აიღო ბ-ნმა დ. ტყეშელაშვილმა. კილურაძის მუშებიც, 40 კაცი, ბ-ნ დ. ტყეშელაშვილთან გადავიდენ და მუშაობდენ დღიურ ქირაზე 2 მანეთათ. მეორე წელიმადე სრულდება, რაც ხსენებული მუშები ბ-ნ დ. ტყეშელაშვილთან მუშაობენ და მუშებსა და საზეინს შორის დღემდის სრულიად გარკვეული მდგომარეობა არსებობდა. როგორც იცით, თევზის ჭერა, ეს შემთხვევითი ხასიათის წარმოების დარგია და წარმოების შესუსტებაზე ძლიერათ მოქმედებს გამელმებული თევზის ჭერა.

წინა წლებში, ამ უკანასკნელ ორ წელთან შედარებით, თევზი მეტი იყო. ამ უკანასკნელს ორ წელს ძლიერ იკლო და ამ ბოლო ხანებში თითქმის სულ აღარ არის. ამის გამო მუშაობამაც თანდათან დაჰკარგა სისტემატიური ხასიათი (წინეთ მუშაობა 3—4 თვეს გრძელდებოდა). ამ გარემოების წყალობით მუშები იძულებული შეიქნენ სანამ მუშაობა დაიწყებოდა, თავის ხარჯით ეცხოვრათ. რადგან თევზის დაუჭერლობამ (მუშები სთევზაოდან ხელცარიელი ბრუნდებოდენ) ამ ბოლო ხანებში ქრონიკული ხასიათი მიიღო, მწარმოებელმა განიზრახა სრულიად ხელი აეღო მუშაობაზე. მან განუცხადა მუშებს: რახან ასე წავიდა საქმე, არსებულ პირობებში წარმოების გაგრძობა უთუოდ შეუძლებელია და თუ რამე სხვა გზას არ დავადექით, შევწყვეტ მუშაობასო. ამასთანავე დასძინა, რომ სამუშაო „სეზონის“ დასრულებამდე, ე. ი. აღდგომამდე მაინც გამუშავებთო. ამ გარემოებამ, ცხადია, საგონებელში ჩააგდო მუშები, რადგან მომავლის პერსპექტივები უკვე გარკვეული იყო და მათ უმუშევრათ დარჩენა მოელოდათ. ეს მეტათ მწვავე და თავსამტვრევი კითხვა იყო. ამ კითხვის შესახებ დიდხანს ბჭობდენ ხსენებული მუშები, ისინი ეძებდენ საშუალებებს, რომლის მეოხებითაც შესაძლო გამხდარიყო მუშაობის გაგრძობა.

მუშებმა ხაზეინებთან შეთანხმებით მოიწვიეს კომისია, რომელსაც არსებული მდგომარეობა უნდა გამოერკვია და გამოენახა შესაძლო გზები წარმოების გაგრძობისა. კომისია გაეცნო საქმის მდგომარეობას ყოველ მხრივ. მან სავსებით გამოარკვია, რომ ბ-ნ ტყეშელაშვილის მხრით არავითარ „ღროის შოვნას“ არ ქონებია და არ აქვს ადგილი. მან გამოარკვია, რომ მართლაც ისეთია წარმოების მდგომარეობა, როგორც ზევით აღვნიშნეთ. ბ-ნი ტყეშელაშვილი რომ კრიზისის გამო უთუოდ იძულებული არსებულ პირობებში შეეწყვიტა მუშაობა, ეს ყველა მუშებმა ერთხმათ აღიარეს. მათ ისიც სთქვეს, რომ ბ-ნმა ტყეშელაშვილი დაგვპირდა არსებულ პირობების შენარჩუნება (2 მ. დღიური ქირა) კიდევ მაშინ, სანამ პირველათ დავიწყებდით მუშაობასო და ისიც გაგვიცხადა: „მე პირობებს არ შევცვლი, თუ იძულებული არ გავხდი, გამუშავებთ ამ პირობებში, სანამ კი გავუძლებო“. კომისიამ გამოარკვია, რომ ბ-ნ ტყეშელაშვილს ეს პირობა არ დაურღვევია. მხოლოდ ეხლა შეიცვალა თვით წარმოების მდგომარეობა და საჭირო გახდა საქმის მოგვარება იმისთვის, რომ სამუშაო არ დაკეტილიყო. 1 მარტს შეთანხმებულმა კომისიამ წარუდგინა ხაზეინებს და მუშებს მის მიერ გამომუშავებული შეთანხმებელი გეგმა:

რომ მოელოს ბოლო ხანწყვეტ-ხანწყვეტათ მუშაობას და მუშებს არ დასჭირდეთ ტყუილათ ცდა, საჭიროა გარკვეულ დროისათვის მათი დაბარება და განსაზღვრულ დროში მათი ამუშავება. რადგან წინათ მუშაობა (რამდენიმე წლების წინ) წელიწადში 8—9 თვეს უძლოდა, ეხლა, კრიზისის გამო, ავიღოთ მინიმუმი სამუშაო დროსი. მუშაობის „სეზონი“ ორ ნაწილათაა გაყოფილი. პირველი სექტემბრიდან დეკემბრის დამდეგამდე მუშებმა უნდა იმუშაონ 2 თვეს. თუ მეტი დასჭირდებათ, მით უკეთესი. მეორეჯერ მუშაობა უნდა იწყებოდეს 10 თებერვლიდან და ჩვეულებრივათ აღდგომამდე გრძელდებოდეს. აგვისტოში 5-6 დღით საფერისცვალებოთ ჩვეულებრივათ სწარმოებდეს მუშაობა. ხელფასი იგივე უნდა დარჩეს, რაც დღეს არის, ე. ი. 2 მ. დღეში. დაახლოვებით მუშებს, ამ გეგმის თანახმად სამუშაოთ [illegible] დარჩებიან 4 თვით და ამ დროს განმავლობაში დებულობენ განსაზღვრულ დღიურ ქირას. თუ ხაზეინების მიერ დამოკიდებელი მიზეზი, როგორიცაა ქარი და სხვა, სხვაფრივ ხსენებულ დროს განმავლობაში მუშებს ხაზეინი ვერ მოაცდენს. მუშებმაც თავის მხრით უნდა იმუშაონ პატიოსნათ და პირნათლად შეასრულონ თავიანთი საქმე. ეს პირობები კომისიის აზრით შესაძლოა და თუ ის მიიღეს, წარმოებაც გაგრძელდებაო. ეს პირობები ორთავე მხარესაგან მიღებულ იქნა. ამრიგათ, მუშაობა ისევ დებულობს სისტემატიურ ხასიათს, ამ მიღებულ გადაწყვეტილების თანახმათ მათ არ ეკარგვის ადგილი, არ უხდებათ მათ სოფლებიდან ტყუილა ჩამოსვლა და უბრალო ხარჯები. ამასთან, რჩება იგივე ხელფასიც.

გალია.

თეატრი და ხელოვნება

ბალახანი. ხუთშაბათს, 25 თებერვალს, აქაურ სცენის მოყვარეებმა ბ. თადაკვაძის რეჟისორობით წარმოადგინეს მოლიერის პიესა „კრიჟანკი“. თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ აქაური სცენის მოყვარეები არიან ფირმებში მოსამსახურეები, რომლებთა შორის ზოგს სამსახური ღამე უწევს, ზოგს კი დღე, და იმასაც,—რომ აქ სცენის მოყვარე ქალები ერთობ სანთლით საძებნელი გვყავს, რადა გასაკვირველია გვეფიქრა, რომ „კრიჟანკი“ სუსტათ ჩაივლიდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოთ, სულ წინააღმდეგი ვნახეთ. გ. კანდელაკი კარგი იყო პარპაკონის როლში. უკეთესი იქნებოდა როლი რომ რიგიანათ სცოდნოდა. ე. თადაკვაძესაც არა უშავდა კლეანტის როლში, თუმცა მისგან მეტს მოველოდით და დამშვიდებული ვართ მომავალში თავის ნიჭს არ უღალატებს და ნიჭთან ერთათ ენერგიასაც გამოიჩენს. დიდათ ნასიამოვნები დარჩა ხალხი ნ. ჩაგუნავასი, რომელმაც მაჭანკალ დედაკაცის ცბიერობა შესამჩნევათ გადმოგვცა. არა უშავდათ ა. დოლიძეს და ს. კანდელაკს,—პირველს ჟაკის, მეორეს ვალერის როლში. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ. ხალხი ცოტა დაესწრო.

თადაკვაძის საბენეფისოთ ამზადებენ „დაძმას“, რომელიც თვით ბენეფიციანტმა აირჩია. ჩემი მხრით კი ვურჩევ აქაურ სცენის მოყვარეებს, რომ უფრო კარგი იქნება თანამედროვე პიესებს დაეწაფებოდენ, ვიდრე არხივში ჩაბარებული. პიესებს. **სანდრო.**

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: ამას წინეთ ადესაში მუშებს შორის შევაგროვე მეორე დუმის ს. დ. დეპუტატების და ბ. ჩხიკვიშვილის სასარგებლოთ 27 მან. 50 კაპ. მიღებისათანავე ეს ფულები გადავეცით დანიშნულებისამებრ (გასაგზავნი ფულების გამოკლებით) და დღემდის ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ გამოცხადებულა გაზეთში. გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სია:

-ეს. ქუთათელაძე, მელ. ბოლქვაძე, მათ. ჩხეიძე, მ. სადარაძე, გ. ხელაძე, კ. მენაბდე, ბ. კალანდაძე, ივ. ცქვიტინიძე, ხალ. ცქვიტინიძე, ვ. პოლიაკოვმა თითო მანეთი. პ. უგულავა, გრ. ჯიშკარიანი, ერ. ღვინერია, მიხ. ვოთინაშვილი, ს. ჩხეიძე, იორ. უგულავა, ლ. იმედაშვილი, გ. სამსონია, პავ. სეფერთელაძე, გიორ. ქერქაძე, ილ. ფარცხალაძე, ს. კუტუბიძე, სილ. ჯიშკარიანი, ექ. ცუცუნავა, პლ. ფიოდია, ნოე გოგვაძე, ბეს. ბალავაძე, ერ. ქავპანიძე, ერ. დუმბაძემ ათ-ათი შაური. მ. ბ—ძე ოთხი (4) მ. გ. გაბუნიამ ორი მანეთი, შვე—რი (2) ორი მანეთი. 27 მან. 50 კაპ.

ისიდორე ლომთათიძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კბილის
საექიმო კაბინეთი
იოჟველისა
(„გაუფრთხილდით კბილებ“ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით· (100—29)

ვიღებ
ყოველნაირ საკერავს
კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვან შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას.
მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაური
0—3

სტამბა „შრომა“, რუსთ. ქ. №3.